სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს

ბრძანება №REG 2 24 00001290

2024 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 25-ე მუხლის, მე-16 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-2 მუხლის, პირველი პუნქტის, „დ" ქვეპუნქტის და "სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების (დანართი №1, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის) შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. მიენიჭოს სს ,,პედიატრს" (ს.ნ. 200104840, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქუჩა №25) ,,სასწრაფო სამედიცინო დახმარების განხორციელების უფლება" – ,,არასპეციალიზებული დახმარება" (ფილიალი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

3. ბრძანება ძალაში შედის ხელის მოწერისთანავე.

საფუძველი: სს ,,პედიატრის" დირექტორის, დავით რეხვიაშვილის განცხადება N427807, 16.04.2024წ.

შემოწმების აქტი – Nლ/ნ-891-81, 26.04.2024წ.

მოხსენებითი ბარათი – NREG 4 24 00499237, 02.05.2024წ.

სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლეილა ქოჩიაშვილი